ნეოგაზი NEOGAS

№ 12016-4

16 ივნისი 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ნეოგაზი" ქ. სამტრედიაში, სანავარდოს ქუჩაზე არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

კომპანიას, აღნიშნულ ობიექტზე, ბუნებრივი აირის საცავების ფუნქციონირების მიზნით გააჩნია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის N2-1207 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ მორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებულ იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 6 მაისის N4549/01 წერილში აღნიშნული საკითხები.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად.

პატივისცემით

ჭაბერ ჭიაბერაშვილი
დირექტორი

NEOGAS LTD 405037213 GEORGIA

№ 16787
17.06.2021
1/6-3234

შპს „ნეოგაზი", ს/კ 405037213, გაზაფხულის ქ. № 18, თბილისი, საქართველო, 0177
Ltd "Neogas", ID 405037213, # 18 Gazapkhuli Str, 0177, Tbilisi, Georgia, Tel: +99532 221 03 31
E- mail: info@neogas.ge Web: www.neogas.ge